გაზეთი ღირს

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 | 10 — | 6 | 6 — |
| 11 | 9 50 | 5 | 5 50 |
| 10 | 8 75 | 4 | 4 75 |
| 9 | 8 — | 3 | 3 50 |
| 8 | 7 25 | 2 | 2 75 |
| 7 | 6 50 | 1 | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ზუბუთის ქუჩაზედ, სახლი № 9, ბ. ხიდდეკელის სავაჭროს, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


გუშინ, სამშაბათს, ამ **14**-ს ივლისსა დანიშნული იყო და უკვე გადახდილ იქმნა კიდეც სიონის სობოროში შვიდის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის კნეინა ნინო ალექსანდრეს ასულის ჯამბაკურიან-ორბელიანის მოსახსენებლად. გაზეთში-კი შეცდომით ნაჩვენები იყო სამშაბათის მაგიერ ხუთშაბათი დღე.

**შინაარსი**: ტფილისი, 14 ივლისი.—ახალი ამბავი.—დაბა და სოფელი: ლანჩხუთი.—ნარკვევი.—უცხოეთი.—წვრილი ამბები.—დეპეშა.— საკალენდარო ცნობანი. — საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი**: ფშაური ლექსები.

ტფილისი, 14 ივლისი

ცხადია, რომ ჩვენის მიწათ-მფლობელობის საქმის დახლართვა და წახდენა, „Крестьянскій банкъ"-ის ავტორის აზრით, წარმომდგარია იმისაგან, რომ აუარებელი მამულები ყოველ წლივ ინიშნება საჯაროდ გასასყიდად და ჩალის ფასად ძლივს გადის. ისიც არა ნაკლებ ცხადია, ავტორისავე აზრით, რომ სოფლის მამული არ იძლევა სამს, ოთხს და ხუთზედ მეტს სარგებელსა და რადგანაც ესოდენი მცირედი სარგებელი არა ჰყოფნის თავად-აზნაურობას, ვაჭრებსა და მოხელეებსა, მიზეზი აუარებელ მამულების გასასყიდად დანიშვნისა ამაში უნდა მოინახებოდეს, იმიტომ-რომ დღეს მიწათ-მფლობელობა ნამეტანობით ამათ ხელშია და თუ ვისიმე მამული გამოდის ბაზარში გასასყიდად, ამათი გამოდის ძალიან ბევრით უფრო მეტი, თუ მთლად არა.

ერთს შესაძლო ღონედ ამ გაჭირებისაგან დახსნისათვის ავტორი გვანიშნებს იმას, რომ რაც შესაძლოა ბევრი მუშტარი გავუჩინოთ გასასყიდად დანიშნულ მამულებსა. რა-კი ამღები ბევრია, რასაკვირველია, გამცემს ფასი მოემატება გასასყიდ საქონელზედ. ეს აღებ-მიცემობის უეჭველი და თავდაპირველი კანონია, თუ სხვა ყოველი გარემოება, ფასების მეტ-ნაკლებობის მომასწავებელი, ერთი და იგივეა. ეს კანონი საპოლიტიკო ეკონომიისაგან დიდი ხანია აღხსნილია და ბეჭედ-დაკრული.

როგორ ავუჩინოთ მამულებს ბევრი მუშტარი? გლეხ-კაცობა მოვიზიდოთ მამულების სავაჭროდაო და ესენი გაადიდებენ, ასწევენ მამულის ფასებსა, ესე იგი სხვაზედ უფრო ძვირად იყიდიანო, გვიპასუხებს ავტორი. ეს ძალიან კარგია მამულის გამცემთათვის, ხოლო მამულის ძვირად მსყიდველთათვის როგორი-ღა იქნება? თუ მართლა სოფლის მამული ორთაშუა რიცხვით, ავტორის სიტყვისამებრ, სამსა, ოთხსა და ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს არ იძლევა, მაშ სჩანს ათ თუმნიანი მამული წელიწადში სამსა, ოთხსა და, თუ გაჭირდა, ხუთს მანათზედ მეტს არ აძლევს, ისიც მაშინაო, ამბობს ავტორი, თუ მამულის პატრონი თვითონ მუშაობს მამულშიაო. თუ ესეა, ნუ თუ ათის თუმნის გაღება გლეხისათვის იმისათვის, რომ მარტო ხუთი მანათი აიღოს, ყელში თოკის წაჭერა არ იქნება? ათის თუმნის პატრონმა გლეხმა ერთი ჯაგლაგი ცხენიც-კი რომ იყიდოს ამ ფასად, წელიწადში ერთს თუმანს მაინც გააგდებინებს,—ეს არ ურჩევნია იმისთანა უხეირო მამულსა? მამულს ფასი მოემატებაო, გვეუბნება ავტორი. ეს მამულის პატრონის სარფა და ხეირია, გლეხს რაღა ნუგეშს ვაძლევთ? რამოდენადაც გლეხი გაბრიყვდება და მამულს ფასს მოუმატებს, იმოდენად ხომ ის სამი, ოთხი და ხუთი სარგებელი უფრო და უფრო იკლებს და უფრო ცოტაზედ ჩამოვა, იმიტომ-რომ თუ ასი ხუთზედ მეტს არ იძლევა, ამ ასიანში რომ კაცმა ას-ოცი მისცეს, $4\frac{1}{6}$% გაუვა.

ეს ავტორისაგან ზოგადად წინ წამძღვარებული აზრი სოფლის მამულის მომცემლობაზედ რომ მართალი იყოს, მაშინ გლეხ-კაცობის მოზიდვა გასასყიდ მამულების სავაჭროდ გლეხ-კაცობის გაწირვა იქნებოდა მამულის პატრონების სასარგებლოდ. ავტორი გვარწმუნებს, რომ ეგ მცირედი გამორჩომა გლეხ-კაცსა თავით ფეხამდე ჰკმარისო და სხვას-კი არაო. რადაო? განა გლეხ-კაცი-კი კაცი არ არის და თუ არ არის, თავის დღეში კაცად არ უნდა იქცეს! თუნდ ამას თავი დავანებოთ. როგორ? გლეხ-კაცმა მამულში ასი თუმანი მისცეს და ამისთანა მამულმა, ავტორის სიტყვისამებრ, ბევრი-ბევრი ხუთი თუმანი შემოუტანოს წელიწადში და ეს უნდა იკმაროს? ეგ ხომ მარტო იმას შეუძლიან, ვისაც ფული გადასაყრელი აქვს და არ იცის, როგორ ამოქმედოს და ასარგებლოს. გლეხ-კაცი განა მაგ ყოფაშია! ამან ეგ ფული უნდა ისესხოს და დიდად ბედნიერად უნდა ჩასთვალოს თავი, თუ ასი თუმანი წელიწადში ხუთ თუმნად-კი არა, ექვს თუმნად მაინც იშოვა. მაშ რა სანატრელია გლეხ-კაცისათვის ხუთის თუმნის მომცემი მამული იყიდოს იმისათვის, რომ თვითონ ხუთზედ მეტი გაიღოს უთავნოდ, მარტო სარგებელში. ეს როგორღაც თავს არ მოდის, თუნდაც მთელი ქვეყანა შემოგვადგეს და გვეფიცებოდეს, რომ გლეხ-კაცი სულ სხვა ბუნებისაა, იმისათვის ხუთი საკმარისია ხუთზედ მეტის მოსაშორებლად და გადასახდელადაო. გლეხ-კაცია, თავადი, ვაჭარი, თუ მოხელე,—ყველასათვის ერთ ნაირია არითმეტიკა, ამან დიდ-პატარაობა არ იცის.

თუ მართლა სოფლის მამული ბევრი-ბევრი ხუთზედ მეტს სარგებელს არ იძლევა და ეს ხომ უეჭველ ჭეშმარიტებად მიაჩნია ავტორს, *) და თუ ფული-კი მის სასყიდლად ხუთზედ მეტადაც ძლივს იშოვება, მაშ გლეხ-კაცმა, რომლის გამამულიანება ფრიად საჭიროა და სანატრელი, როგორ უნდა მიაწვდინოს ხელი მამულის სასყიდლად? აშკარაა, საქმე ისე უნდა მოვუწყოთ, რომ ფული იეფად ვუშოვოთ მამულის სასყიდლად, იმოდენად იეფად, რომ ასს თუმნიან მამულიდამ ხუთ თუმნიანმა შემოსავალმა იმ ფულის სარგებელიც იხადოს, თავნიც ცოტ-ცოტაობით იშოროს და გლეხსაც ცოტა რამ ნასუფრა-

*) მოგვყავს თვით ავტორის სიტყვები: „Земельная собственность, когда къ ней прилагаешь свой трудъ, не можетъ дать, въ среднемъ, больше трехъ, четырехъ, много—пяти процентовъ. Этого очень и очень мало для дворянства, для купечества, для чиновничества .. Но этого совершенно достаточно для крестьянства". (იხილეთ „Новое Обозрѣніе № 1219).

## ფელეტონი

### ფშაური ლექსები

ფშავში შეკრებილი დ. ხიზანაშვილის მიერ.

შვიდ წელს ტყვე ვიყავ, დედაო,
არ მილახიან ქვიშანი,
საკმისას ჩამოშვებულნი,
შუქნი ენახნოდი მზისანი;
კოჭლი ვეგონე, უფეხო,
კარში არ გამამაელი,
გამამიყვანეს, გამშინჯეს,
ქალ-რძალი მოდგა მრავალი;
პირ-და-პირ გადმამიფინეს
თვალ-მარგალიტის სრაელი;
დავჯე და ბევრი ვარჩიე,
ჯიბეს ვიყარე მრავალი;
იქისას გადმოუფრინდი,
საცა არ იყო საელი,
თან მოყმე გადმამაყოლეს,
ახალ წვერ შამამაელი...
მე ის ვერ მამეწეოდა,
მუხლად მე ვჯობდი მაელი;
გადმამაყოლა ისრები,
ფთე-წვრილი, შორა მაელი;
სუკსა მკრა, გულსა მეწია,
მუხლი მამილო მაელი...
ასეთსა კლდესა მოვადექ,
ვეფხვნი ვერ გავლენ ბწვლიანნი,
არწივნი ბუდებულიყვნეს,
არწივნი ჩვენის მთისანი!..
წავიდეს სანადიროდა,
ჩამოაწითლნეს ქვიშანი,
ჭამეს და მეცა მაჭმიეს,
ბრალნი ჰქონიყვნეს ტყვისანი;
გზანიმცა აყოვებილან
ცხვრისა და მემცხვარისანი;
წყალს იმათ გამამახდინეს,
ხიდნი დამისხნეს ხისანი,
თორემ წყალთ ჩაევარდებოდი,
თევზნი შამჭამდეს წყლისანი,
თევზთ აღარ დამაჯერებდეს,—
დიდნი ვეშაპნი ზღვისანი!..

—

შატილს [6]) ნუ მისდით, ფშაელებო,
განა ქალაქის გზანია:
არცა სხედს ოქრო-მჭედლები,
არც იწურება რვალია;
იქა სხედს ქისტის შვილები,
ტყვიას გამოაქვს ჩქამია,
სამს ძმას ერთსავით მაჰკლავენ,
არა აქვს სამართალია!...

—

ზურაბ რა უყვენ ლაშქარნი,
ნაკრეფნი შვიდის თვისანი,
ჩაუშვენ მათურაშია [7]),
თვალნი გაგიწყრეს ხთისანი.
დაგიხვდეს ფშაველიშვილები,
არწივნი მაღლის მთისანი!..
შემოგეწივნეს მთაზედა,
გაწითლებინეს ქვიშანი...

—

საგინა გიორწმინდელი
კაცი ყოფილა ჰკვიანი.
აღულა ლუდი საგინამ
დამწარებული სვიანი,
იწვივნა ჯალაბაურნი,

[6]) სოფელია ხევსურეთში.
[7]) სოფელია ფშავში.

მამით-შვილამდე მტრიანნი.
მოვიდა ქალი და რძალი
სუყველა ლამაზი არი;
ჯერ ლუდი ჩამაურიგა,
ლუდია შარბათიანი!
მემრ ღვინო ჩამააყოლა,
ღვინოა დედის რძიანი!..
ფშაელების მოლოდინი აქვს,
მაუვლენ დაელათიანნი.
სამშაბათ დილას მოვიდეს,
ისრებმ დაიწყო ზრიალი;
ასისა ერთი წავიდა
ისიც ხომ ბეჩავი არი.
ფშავში წამოდი, საგინავ,
ადგილ ჩვენცა გვაქვს მთიანი,
ჩვენშიაცა ხნავს გუთანი,
ხარი გვიბია რქიანი;
ქერ მოდის ჯიგრაულთასა,
ქერია ჩარათიანი.

—

ფოცხვერას მახინცაურსა
ჩაელა სწადიან გზისაო,
ჩასვლა სწადიან მითხოსა [8]),
ქლერება დროშაისაო;
ცოლად წაყვანა სწადიან
ქალისა განძაისაო;
წელზედ შემორტყმა სწადიან
ჯიგრაულაის ხმლისაო.
—ლაშქრით ნუ მექადინები,
ჩამაუძლოდი მზირსაო,
ცხვარ-ძროხათ არსად წამისხნე,
ცირცლოვანს კილდის ძირსაო,
არსად ჩამისვა მალული
დეკბიანს წვერის პირსაო;

[8]) ქისტეთი.

მოგდევდეს თოთაიშვილი
ქარსლაი პერანგითაო,
გესრიდეს თათრისეულსა,
ჰეხა გეგონოს ცისაო...
წელთ ერტყას ჯიგრაულაი [9]),
ფიქრ არა ჰქონდეს მტრისაო.

—

ბაადოს ბაძიგიშვილსა
საქმე არა აქვს შინაო,
დაარჩევს მითხოელებსა,
გამაუძღვება წინაო;
ორთავ მადურიშვილებსა
წუზროვანს უძებინაო;
ი რო მოვიდა ბაადო,
მაღლის ხმით შამოსძახელაო,
შარშანდებული სწადიან—
ლევუამ გაიცინაო...
გაუდვა სანგალზეითა
გაშაევებული რკინაო;
ეძახის ამხანაგები:
ბადო წამოდი შინაო;
ბაადო ეღარ წამოვა,
სანგლის პირშია სძინაო.

—

თუშეთით კაცი მოვიდა:
„გვიშველეთ, მოდის ჯარიო".
დალაღდეს ფშაელის შვილები,
ყველამ გალესა ხმალიო,
დაიმზადიან საგძალი,
დაიბანდიან ჯლანნიო;
წავიდეს დალაღებულნი,
ღმერთო დასწერე ჯვარიო!..
დაირიდნიან ხევსურნი,—
არ გვინდა თქვენი ხმალიო...

[9]) ხმლის სახელი.

უკანავ გააბრუნოდით
თქვენი გუდანის ჯვარიო [10]);
იქისას ჩაიაროდით,
სადაც წისქვილის კარია;
თუშო გაგვიძეღ, წოვაო,
მურთაზს სად უდგა ჯარია;
ჩვენ თავად ვიცით ფშაელებმა,
შორით გვიჭირეთ თვალიო;
ხმალს ქნევით დასცვდეს ვადანი,
სისხლმან დამალნა ფხანიო.
თუშთა ქნეს სამლთო წოვათა [11]),
საღმერთოდ დაკლეს ცხვარიო;
ღმერთო, შენ ჩაგვასწავლნოდი
ფშავში ხოშარის გზანიო.
ცხენთა ხოშარას [12]) ჩასულთა
არაგვ დალიეს წყალიო,
ხოშარით კაცმა იძახა,—
მუქუს [13]) ვინა ხარ ხმლიანი?
მოვიდა წოწკურაული
სუმელჯი, სურო-ლეიანი;
მააწყვნა ისრის ქოჯონი,
ლალის არწივის ფთიანნი;
ესროლის, გამააგორის
თუშები ფეხ-ჩითიანი...
—მოხვედა თილის ობოლო,
ამბავი მაიტანეა?
—მე-კი მოგივედ, დედაო,
სხვა ბევრი ვერ მოდიოდა,—

[10]) სალოცავი ხევსურეთში; გუდანის დროშას ემორჩილება ეხლაც თუშეთი, რომელიც ხარჯს აძლევს ამ დროშას...
[11]) წოვა-თუში გაქართველებული ღლიღვია, ქისტი მოდგმით თუშების ერთს თემს ეკუთვნის.
[12]) სოფ. ფშავში.
[13]) სოფ. ფშავში.

ლი მაინც დარჩეს. უამისოდ გლეხი ხომ ფულის პატრონის მუქთა მუშად, მსახურად შეიქმნება საშვილიშვილოდ და ის, რაც ასს თუმნიან მამულის გამო ხუთს თუმანზედ მეტი გადახდება, ეგ მახტა იქნება, ესე იგი, იგივ ყმობა, რომლისაგანაც ძლივ-ძლიობით თავი უგვე დააღწია.

ესეც-კი უნდა ვსთქვათ, რომ როცა ავტორი ამბობს, სამი, ოთხი და ხუთი სარგებელი მთლად საკმარისია გლეხ-კაცისათვისაო, ამაში გასამტყუნარი არ არის, თუ მარტო იმას ვიქონიებთ სახეში, რომ გლეხი თავის საკუთარის ფულით არის მსყიდველი მამულისა და არა სესხად აღებულითა. ამ შემთხვევაში გლეხ-კაცი მართლა რომ ხუთზედ ნაკლებ სარგებელსაც დასჯერდება, რადგანაც მას მიწა უფრო ეხარბება, მიწა უფრო უყვარს, მიწის ქონა უფრო საპატიოდ მიაჩნია, ვიდრე ფულისა. ჩვენ არა ერთი მაგალითი ვიცით, რომ ფულის შემძლებელს გლეხს მამული ეყიდნოს და არას დაგიდევდეს, თუნდ დახარჯულ ფულზედ გროში სარგებელიც არ გაენაღდოს. სულ სხვაა, როცა გლეხი შეეჭიდება მამულს ნასესხების ფულითა და რომ ავტორს ნასესხების ფულით აქვს განზრახვა აყიდვინოს გლეხებს მამულები,—ეგ აშკარადა სჩანს თვით მის წერილების სათაურისაგან: «Крестьянскій Банкъ».

შემდეგში ვნახავთ, ავტორი როგორ გაუძლვა ამ მისგანვე წარმოდგენილს დილღლემას და მოუხერხა თუ არა გლეხს [illegible] მამულის ძვირად სყიდვისა, რომ ცალკე მამულის პატრონი ახეიროს და ფულისა-კი იეფად შოვნისა, რომ ცალკე თავის-თავსაც სარფა რამ აჩვენოს.

## ახალი ამბავი

*** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი, სახელად „ციცინათელა“, რომელიც შესდგება საყმაწვილო ამბებისაგან და სახალხო ლექსებისაგან.. საყმაწვილო ამბები რიცხვით ოც-და-ერთია. გამომცემელი არის ბ-ნი იანქოშვილი. „ციცინათელა“ შეიცავს 62 გვერდსა და ღირს ხუთი შაური.

ურიგო არ იქნებოდა, რომ უფრო ხშირად იბეჭდებოდეს ჩვენში საყმაწვილო წიგნები, რადგანაც ყმაწვილებთა შორის თან-და-თან ჰმატულობს მკითხველთა რიცხვი და საკითხავი მასალა-კი ძრიელ და ძრიელ ნაკლებადა გვაქვს.

*** მკითხველებს ეხსომებათ „ივერიის“ წერილები, სადაც ვლაპარაკობდით ბ-ნ აკაკის ლექციებზე შესახებ უკვდავის რუსთაველის „ვეფხვის-ტყაოსნისა“. ამ დღეებში ბ-ნ აკაკის ცალკე წიგნად დაუბეჭდინებია ერთი პატარა თხზულება, სახელად: „რამდენიმე სიტყვა ბ-ნ ილია ჭავჭავაძის საპასუხოდ „ვეფხვის-ტყაოსნის“ გამო“. წიგნი გამოცემულია ბ-ნ ზ. ჭიჭინაძის-მიერ და ღირს ორი შაური.

*** გუშინ, იუნკრის სასწავლებლის პირ-და-პირ, მტკვარში ბანაობდნენ ცხენის რკინის-გზის კონდუქტორი იოსებ კერესელიძე და ნაკონდუქტორალი არტემა ხ—ნცი, 23 წლის ახალგაზდა. უკანასკნელი ჩავარდა მორევში და წყალმა დასძირა. კერესელიძე, თუმცა ცურვა არ იცოდა, გამოეკიდა ამხანაგსა და სტაცა ხელი, მაგრამ დაინახა, რომ ვერც იმას უშველის, თითონაც წყალი ერევა და არჩობს, და გაუშვა ამხანაგი, რომელიც წყალმა დაარჩო. მისი გვამი ჯერაც ვერ უპოვნიათ. კერესელიძემ-კი, როგორც იყო, ძლივს ვაი-ვაგლახით თავს უშველა.

*** ვერაზე მცხოვრებელი ტფილელები შემოგვჩივიან, რომ წყნეთის ქუჩის ბოლოს ორი სამიკიტნო დუქანი ცუდკაცობის ბუდედ გადააქციეს და ახლომახლო მცხოვრებლებს მოსვენება არა აქვთო, მეტადრე ღამ-ღამობით. ამ დუქნებში თურმე თავს იყრიან ჯიბგირები და, შეღამდება თუ არა, ასტყდება ერთი ჩხუბი, კრივი და თავში ცემა. გათენებამდის ღრიანცელი არ გათავდება ხოლმე. კაცს შიშით ვერ გაუვლია: მეზობელი იქნება, თუ უცნობი, ყველას გამოუგდებენ თურმე, რაღაც ნაცილებს აუტეხენ, დაეიდარაბას, ჩაიყოლიებენ ჩხუბში და ამახობაში ან ჩოხას წაართმევენ, ან ქუდს, ან ქისას და ან რაც ხელთ მოჰხვდებათ. მეტადრე დაშინებულნი არიან თურმე ერთის ვილაც ჯიბგირისაგან, რომელსაცა ჰქვიან შეთე.

კვირა-ღამეს ამ შეთემ, თავის ამხანაგების დახმარებით, ჩხუბში ჩაითრია იქვე მცხოვრები სოლომან პეტრიაშვილი. ჯერ ლანძღეს კაცი, მერე დაუწყეს ბღლარძუნი და ბოლოს ძალიანაცა სცემეს. ამ ცემაში შეთემ თვალის დახამხამებაზე გამოსჭრა სოლომანს ახალუხის უბე, ჩამოახია სულ კალთებამდის, დაიხვია ხელზე ეს უბე ქისით, მოიტაცა და დაიმალა. ქისაში, როგორც ამბობენ, დებულა რვა თუმანი და შვიდი მანათი. ყვირილზე დაფეთიანდნენ მეზობლები, შეიკრიბა ხალხი, მოვიდა № 23 პოლიციელიც, მაგრამ ველარა უშველეს-რა. პოლიციელმა როგორც იყო დააშოშმინა ხალხი. როცა მოწყესს უსაყვედურა ხალხმა: ეს რა ამბავია, რატომ ყურს არ უგდებთო? —იმან სამართლიანად იკითხა: „რა ვქნა? ეს ამოდენა უბანი მე მარტოკას მაბარია და რომელ ერთს მხარეს აუვიდე, რომ ყველგან წესიერება დაურღვეველი დარჩესო! და მართლაც, წავიდა თუ არა პოლიციელი სხვა მხრის დასათვალიერებლად, ჩხუბი და ხმაურობა ისევ გაიმართა ამ ჯიბგირების ბუდესთან და გათენებამდის აღარ გათავებულა თურმე.

ფრიად საჭიროა, რომ ამისთანა ბოროტს და მავნე ბუდეებს ჯეროვანი ყურადღება მიექცეს და გაძლიერდეს მოწესეთა რიცხვიცა და ბეჯითობაც.

*** წარსულს კვირას საგურამოში ძალიან ღონიერი წვიმა ყოფილა.თურმე ისეთი ნიაღვრები მოვარდნილა, რომ მომკილ ყანებიდამ ძნები, ფეტვი, სიმინდები წაულია და წაულეკავს. ზოგ ადგილას ისე ძრიელ წაულეკავს, რომ ზემოდამ წაფარებული მიწა უნდა გაეთხარათ და ისე ამოეღოთ წაშლამული ძნებიო.

*** გაზ. „Кутаисскія Вѣдомости“ ფრიად სასიამოვნო ამბავ გვატყობინებს ქუთაისში „წყლის-გამყვანის“ აშენებაზე. ბ-ნს ინჟინერს განემანსა და თავად დ. ნიჟარაძეს წინადადება მიუციათ ქუთაისის საქალაქო გამგეობისათვის, რომ „წყლის-გამყვანს“ გაგიკეთებთ, თუ შემდეგ პირობაზე დაგვყაბულდებითო: არქიელის მთაზე გავაკეთებთ უმთავრესს აუზსა და იქიდამ რიონის დაწმენდილს წყალს მილებით გავატარებთ მთელ ქუთაისშიო. სამ „ვედრა“ წყალი ეღირება ერთს კაპეიკად. ქალაქის გამგეობის სასარგებლოდ, მანამ „წყლის-გამყვანი“ ჩვენ ხელთ იქნება, უსასყიდლოდ გავიღებთ დღეში 4,000 „ვედრასა“ და ამასთან არავითარი დახმარება არ გვინდა ქალაქისაგან არც ფულით და არც სხვა რამით. მხოლოდ ქალაქმა უნდა ნება მოგვცეს, რომ 40 წლის განმავლობაში ჩვენი იყოს ამ „წყლის-გამყვანის“ შემოსავალიცა და ხარჯიცაო. თანაც ქალაქს უფლება ჰქონდეს 20 წლის შემდეგ იყიდოს ჩვენგან ეს წყლის-გამყვანი, და თუ არ იყიდა, ორმოცის წლის შემდეგ მისი კუთვნილება გახდეს შეუსყიდავადაო.

გაზეთის სიტყვით, ქუთაისის საბჭო ძრიელ ბეჯითად მოეკიდა ამ საყურადღებო წინადადებას. ორი კრება ზედი-ზედ მოანდომა ამ საქმეს. ეხლა კიდეც გადასწყვიტა თურმე, რომ გამგეობამ-კი არ უნდა იკისროს და შინაურულად თვითონ არ გააკეთოს წყლის-გამყვანი, არამედ უნდა სხვას გადასცეს მისი გაკეთებაო. ეხლა საქმე იმაზეა, ბ-ნს განემანსა და ნიჟარაძეს მისცეს ეს საქმე, თუ სხვა უფრო სახეირო პირობას დასდებს ვინმეო.

*** იმავე გაზეთში ვკითხულობთ 4 ივლისს მომხდარ მიწის-ძვრაზე: ფოთის ახლო სოფ. ჭალადიდში მიწის გრგვინვამ ერთს ადგილას გააპო მიწა 200 საჟენის სიგძეზე აღმოსავლეთიდამ დასავლეთისაკენ და გაპობილ მიწიდამ ამოდიოდა წყალი და ქვიშაო. გარდა ამისა რიონის ნაპირებიც ოთხის ვერსტის მანძილზე გასკდა და იქაც წყალი და ქვიშა ამოდიოდაო. ეს გახეთქილი ადგილები

---

დაგვლევა ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა,
იწრო-იწრომა ხევებმა,
ფშაელების მოკლედ დენამა,
წოწკურაულის ისარმა,
სანათაურის ენამა [14]),
ჭიჩოთ მოსულთა ობოლთა,
იმათ სახელის დებამა...
ატირდა თუშის ქალები,—
აღარ მოგვივა ქმარები;
რა ვუყვათ იმათ ცხენებსა,
რით დაუჭიროთ თავები!..
ზოგთა თქვეს, გომში შავრეკოთ,
წელთით დავკეტოთ კარები;
ზოგთა თქვეს, ტყეში გაუშვათ,
დაგალონ ნალ-ლურსმარები;
ზოგთა თქვეს, უკუღმ დავკმაზოთ,
ზედაც ჩვენ შავსხდეთ ქალები;
ზოგთა თქვეს, კახეთს ჩავიდეთ
და იქ შავირთოთ ქმარები...

—

ლაშარს მოვიდა თილისძე,
გულ-დიდად დაჯდა ხარიო;
შემოეხვივნენ ფშაელები,
როგორც ბატონსა ყმანიო:
შენ აქ არ მოგვევლოდა,
დიდი ჰქენ ცოდვა ბრალიო...
ჩამოხვე ხოშარაშია,
ცისაკ აუშვი ალიო;
შაჰყარე დიაც-ყმაწვილი,
კალოდ გალეწე მკვდარიო;
ნაკვეთაურის ჯერხოსა
შენ შეხსენ რკინის კარიო,
სალუდე დასჭერ ქობები,
ღმერთს მისდიოდა ჩქამიო.
დაიცათ, ლალნო ფშაველნო,
მალოცეთ თქვენი ჯვარიო,
სამხვეწროდ მამიყვანავის
თეთრი ქორაი ხარიო;
ზოგ გავარიგოთ მაშინა,
როცა გამოვლენ მთანიო;
ვინ ედგეს მტერსა ახლოსა,
ვის უფრო სჭრიდეს ხმალიო;
უბის თავს დააყენოდით,
ფშაელებო, თქვენი ცხვარიო;
უბის თავს დანათდებიან
თილისძის ცხენის ნალნიო...

—

თილისძემ უთხრა მამასა,
მამავ შავყაროთ ჯარიო,
ჩავიდეთ უკვე ნაფშავსა,
ამოვირეკოთ ცხვარიო.
—ვერ ჩავალთ უკვე ნაფშავსა,
ეგეცა ჩვენნი არიო.
—მაშ ხოშარაში ჩავიდეთ,
ვარჩიოთ ქალი-რძალიო...
—ვერც ჩავალთ ხოშარაშია,
ეგ არის ჩვენი მხარიო;
სხვისას არ გაგვიფერებენ,
ლაშარის ჯვარის ყმანიო.
—მაშ მათურაში ჩავიდეთ,
მოკლედ ჩაუვლენ გზანიო;
გოგოლაურთას ჩავიდეთ,
ჩაკიბულნი ჰქონ გზანიო.
—კიბურთ არ ჩაგვაცილებენ
ლომ-ხუზაურა ძმანიო...
—მაშ ცაბაურთას ჩავიდეთ,
ვამტვრიოთ ბელის კარიო...
ჩავიდეს ცაბაურთასა,
ამტვრიეს ბელის კარიო;
პირ-და-პირაით გადმოჩნდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო,
ესროლეს პირ-და-პირითა,
ბელელს აკვრეს მკვდარიო;
თილიძე გამაიპარა,
გადმაიარნა მთანიო;
როცა თუშეთში მოვიდა,
გამოეგება რძალიო:
—„მამამთილ! შვილი რა უყავ,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?“
—თინიბექ ფშავში გავწირე,
სისხლისა ღვინით მთვრალიო.
ქალი ციხეში შავიდა
წელთით დაკეტა კარიო;
სანამ წელ შესრულდებოდა,
სამჯერ დაიჭრნა თმანიო...
მამამთილმ გამაუგზავნა
სამხვეწროდ ერთი ხარიო:
„გთხოვ გამოხვიდე, ლელაო,
ციხეში ნულარ ხარიო“...
მამამთილს შემოუთვალა:
„წელზედ შემარტყი ხმალიო,
იქისაკ წამავალი ვარ,
მასწავლე ფშავის გზანიო;
თუ თინიბექ ვერ ვიძიო,
ლელაიმც ნულარ ვარიო!..“

—

ჭერხოში [15]) დედან ატირდეს,
ქალმა შასწყვიენა ძმანიო:
ან უპატრონეთ მამულსა,
ან ქალს შემარტყით ხმალიო?..
ჩემსა უთხარით საქმროსა,
ბარემ მაიკლას თავიო,
კახეთში მაინც ჩავიდეს,
იქით მორეკოს ჯარიო.
საშველად ეგებ მოვიდეს
ხევსურეთი და ფშავიო;
გვიშველე, ჩვენო ლევანო,
გექნებით უნჯნი ყმანიო.
მოვიდა ძალლი მუცალი [16]),
ბევრად მოგვეთხოვა ქალიო;
ორყანას ჩამოგროვილ ჯარს
არ სწვდება წვიმის ცვარიო;
გაუშვით ანდარეზაი,
ვეფხვია მეომარიო!..
გაუშვეს ანდარეზაი,
ღვთითა და ღვთის მშობლითაო,
გავიდა გირავის წყალსა
ყმა ლურჯის პერანგითაო;
ჯარს სამჯერ შამაუარა
სახლთ-ხუცის ლურჯაითაო,
მუცალ კარავში აკაფა
ნაკუდაურის ხმლითაო;
თანა ჰყავ ფშაველიშვილები,
წკეპა ამოდის ხმლისაო...
ასე აკაფეს მუცალი,
ყორნებს აჰქონდა ბწკლითაო;
გაიქცა მუცალის ჯარი,
ქალურად მიტირისაო...
მუცალის ცოლი ჰკითხავდა,
მუცალმა რაღა ქნისაო?
—„მუცალმა ველარა იქნის,
ტირილი დაიწყისაო,
აკაფა ანდარეზამა,
ყორნებს აჰქონდა ბწკლითაო;
გასტაცა ოქრო ტაბაკი,
სიცილით გაიქცისაო“.
—გირჩევ ნუ წახვალ, ვეუბენ,
მე ქალმ ვაჯობე ჭკვითაო.

—

ამ ზამთარ, მიცქის ლურჯაო,
ჯოყარი ხერიმე ნარისა...
გაზაფხული რომ მოვალის,
ლუსმარი გალენალისა;
აგიყვან საყაჭის [17]) წვერზედ,
შუქი ზედ გადგეს მთვარისა;
ხოშარას ხაგირს ჩაგაგდებ,
ოდოში ჰკმიჭე ქერისა;
სანათაურთ კარს მიგაგდებ,
ჰეხა იყურო ფარისა...
დათვიავ სანათაურო,
ჩიქილამც გხურავ ქალისა!..
თუშთ სამუქაროდ ნაგები
ციხე სადა გაქვს თავისა?
—არ მინდა ციხე მაგარი,
იმედი მაქვის მკლავისა!..
უშველის კუკუმაური,
მეზობელია კარისა.

—

—მოხველა, თილის ობოლო,
რა მაიტანე ამბავი?
—გიამბობთ დავითის მზემა,
დავითმ თქვენ გითხრასთ მართალი.
გიორგი ნაკვეთაური
ფშაელებს ჰყოლიყო სარდალი;
ხოშარას ქობის ჭრაშია,
იმან მოგვიკლა შაბალი [18]);
თუშნი ხოშარამ დალივნა,
ბოზ თუშთ დედათა ენამა,—
გძელმა იმ ხოშარის გორმა,
იქ წყლის არ გამოდენამა;
იწრომა ფშავის ხევებმა,
ფშელების მოკლედ დევნამა;
წოწკურაულის ისარის
ყიათად წვერის ცემამა,
ჭიროთ მოსულთა ობოლთა,
იმათ სახელის დებამა,
მათურელებმა ვაჟებმა,
იმათ გორის პირს დენამა;
მოჭვრიტეს მოგლაის გორი
თუშთა ქალებმა თვალითა—
არ მოგვივიდა შაბალი,
არც ლილო წითლის ფარითა;
თუ ლილოს დაატყვევებდნენ,
ქალებ იხსნიდეს ქრთამითა...
თუ არ მოგცემდეს ქრთამითა,—
ორმოცი ვერცხლის ფარითა...

—

თილისძემ უთხრა მამასა:
მამამ, შავყაროთ ჯარიო!

---

[14]) წოვა-თუშის ქალი, რომელმაც წააქეზა წოვა-თუშები ფშაველების წინააღმდეგ.

[15]) ჭერხო—ზემო სართული სახლისა.

[16]) ლეკთა ბელადი.

[17]) მთა ფშავში.

[18]) ხარების ნახირი.

ისევ ამოვსილა ასე, რომ ეხლა აღარ ეტყობაო. ქალადიდის ეკკლესია ისე შეანძრია თურმე, რომ ფანჯრის შუშები ჩამტვრეულა და საბოლე მილები ჩამოუქცევია. ეკკლესია ხისა ყოფილა. ქუთაისშიაც ეიგრძენით მიწის-ძვრა, მაგრამ აქ უფრო სუსტი იყოვო.

# დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

ლანჩხუთი, 10 ივლისი. ლანჩხუთში ეს თხუთმეტი დღეა რაც გაჩნდა ერთი სენი, რომელიც სდევნის უმეტესს ნაწილად პატარა ბავშვებს. თუმცა ამ სენს ჯერ ერთის მეტი არ უმსხვერპლია აქა, მაგრამ მთელს სოფელს მოედვა ასე, რომ ყოველს ოჯახში იზოგით ავადმყოფს. ვისაც ეს «ბატონი», როგორც აქ ეძახიან, დაემართება, პირველად აუტყდება მუცლის ფაღარათი, მერე ორის ანუ სამის დღის განმავლობაში გამოესხმის ყანყრატოში მუწუკები და სულის მოთქმა და ნერწყვის ყლაპვა უჭირდება ავადმყოფს; ამასთანავე ტანზედაც დააყრის წითელ მუწუკებს, რომლებიც დილით შეუნიშნავნი არიან, ხოლო შუა-დღისას გადიდდებიან ხოლმე.

7-ს ამ თთვეს მე ვიყავი ერთს ოჯახში, სადაც ამ სენით იყო ავად ექვსის წლის ბავშვი და სადაც შეგროვილიყვნენ რამდენიმე კაცი და ქალი. მივმართე მშობლებს და ვკითხე: მოიყვანეთ ექიმი, თუ არა-მეთქი? მათ მიპასუხეს: ექიმობა როგორ გავბედავთ, მუცელ-ბატონები და კისერ-ბატონები ერთად შეურიგდნენ და შენ ამბობ უექიმეთო? მისი დიდება დაილოცა, ექიმობა როგორ გავბედავთ! მერე ვუთხარი, მუცლის და კისრის ტკივილი არავითარი ბატონებია და ეს სენი ისეთი ავადმყოფობაა, როგორც ფეხის ანუ თავის ტკივილი, და ჩვენ არ შეგვიძლიან მივაწეროთ მათ რაიმე ანგელოზური თვისება-მეთქი. რამდენიმე მათგანმა დაიჯერა, მაგრამ უმეტესმა ნაწილმა მათხრა: როგორ თუ კისერ-ბატონებს და მუცელ-კეთილს ბატონებად არა სთვლითო, მაწყის-ძირა ბუნებითი მოვლენად მაგაჩნიათ, დედა-ქალის შელოცვას არაფერ მნიშვნელობას არ აძლევთ, და სხვა. ნახევარის საათის შემდეგ გხედავ შემოდის ერთი ბებერი ქალი და შემოაქვს წყლის ასადუღებელი ქანგიანი ჭურჭელი, რომელსაც გურიაში ეძახიან კარდალს, ავლებს თავზე ავადმყოფს და ამბობს: „ღმერთო მოუხეო“, და ამასთან სხვებიც იმეორებენ ამ სიტყვებს. ამ სანახავის შემდეგ ავადმყოფის დედამ სანთი სანთელი და წაიწვა თავის თმის ბოლო. მე ვკითხე ამის მნიშვნელობა და მან მიპასუხა: თუ ჩემს ალექსის მომარჩენს ან წმიდა გიორგი და ან წმიდა მარინე, ერთი ვერძი და ერთი მამალი უნდა შევსწირო მათ, და ეს იმის ნიშნიაო... სამწუხარო ის არის, რომ ლანჩხუთელებს ექიმი არა ჰყავს, თუმცა საზოგადოება იმდენად მდიდარია, რომ ექიმის დაქირავება მისთვის სამძიმო არ იქნება. მართალია, აქ არის აფთიაქი და ორი ფერშალიცა გვყავს, მაგრამ... უმეტესი ნაწილი აქაურის საზოგადოებისა იმ აზრისაა, რომ ექიმი საჭირო არ არისო: თუ ვინმე ავად გახდა, იმას შეუძლიან ექიმი მოიწვიოს ბათუმიდამ და ან ქუთაისიდამაო. ის-კი ავიწყდებათ ლანჩხუთელებს, რომ თვითოეულს მათგანს ექიმის თითო გზობით მოწვევა ბევრად უფრო ძვირად დაუჯდებათ, ვინემ ექიმის წლობით დაქირავება. ვერ მიმხვდარან, რომ კარგი ექიმი რომ იყოლიონ, ხალხი ისე უღმერთოდ აღარ დაიხოცება, როგორც ლანჩხუთის მოსამზღვრე საზოგადოებაში, ნიგოითში, სადაც, როგორც გავიგე, შვიდი ბავშვი გამხდარა ავად ზემოხსენებულის ბატონებით და ამათში მხოლოდ ერთი გადარჩენილა სიკვდილს და ქესა-კი უმსხვერპლიათ ამ დიდებულ ბატონებსა.

ლანჩხუთელი

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

როცა ევროპის დიპლომატებს სწადიანთ რაიმე არა-საქებური და ბოროტი საქმე ჩაიდინონ საერთაშორისო პოლიტიკაში, მაშინ თავიანთ ცბიერების დასაფარავად ამბობენ ხოლმე, რომ ჩვენ ძლიერ მოწადინებულნი ვართ გავავრცელოთ უცხო ქვეყნებში სწავლა-განათლებაო. ეტყობა, ბისმარკი ახლა სხვაფრივა ცდილობს თავის საქმეების მოხერხებას, რადგანაც ერთი ბისმარკის მომხრე გაზეთი, „National Zeitung“-ი, სცდილობს დაამტკიცოს, ვითომ რუსეთი სრულიად არ უნდა ერევოდეს დასავლეთ ევროპის პოლიტიკაშიო. ზემოხსენებული გაზეთი გერმანიის ნაციონალ-ლიბერალების ორგანოა, ესე იგი იმ დასისა, რომელიც მარტო ამ რამდენისამე ხნის წინად შეურიგდა და დაუახლოვდა ბისმარკსა, და ამიტომ სცდილობს ძრიელ აამოს და ასიამოვნოს ბისმარკს, ამ ძრიელის დასის მეთაურს. გაზეთი „Новости“ ამბობს: „National Zeitung“-ის აზრით,

> ჩვენს სამშობლოს ევროპასთან ხელი არ უნდა ჰქონდეს,
>
> ამის გამო შუა-აზიაში სწავლა-განათლების გასავრცელებლად საჭიროა. რომ რუსეთმა დაიპყრას შუა-აზია და ინგლისის წინააღმდეგობას არავითარიმე ყურადღება არ მიაქციოსო.

რასაკვირველია, რუსეთის განათლება ანუ გაუნათლებლობა აქ არაფერს შუაშია. გერმანიის დიპლომატებს უნდათ, რომ ერთის მხრით საფრანგეთი დააუძლურონ და მეორე მხრით თავიანთი აღმოსავლეთის სამზღვარი გაიმაგრონ და უშიშარ ჰყონ. ჩვენ ძალიან ვეჭვობთ, რომ გერმანიის პოლიტიკა სწავლა-განათლების გავრცელებისათვისა ზრუნავდეს და თავს იმტვრევდეს.

**

პეტერბურგში ერთი იურიდიული გაზეთია, რომელსაც „Судебная Газета“ ჰქვიან. ამ გაზეთს თავი იმით გამოუჩენია, რომ რაცკი მოეწონება სხვა გაზეთებიდამ, გადაჰბეჭდავს თურმე და არც-კი მოიხსენიებს, თუ ამა-და-ამ გაზეთიდამ გადმოვბეჭდეო. სხვათა შორის ამ უკანასკნელ დროში „Судебная Газета“-ს გადაუბეჭდია პეტერბურგის გაზეთებიდამ სასამართლოს მატიანე და არც-კი აღუნიშნავს, თუ რომელ გაზეთიდამ არის გადაბეჭდილი ხსენებული მატიანე. ეს მატიანე რეპორტიორს გორშენოვს შეუდგენია და ამ ავტორს მატიანესას უჩივლია მომრიგებელ-მოსამართლესთან, რომ შრომის ფასი გადაახდევინეთ იურიდიულის გაზეთის რედაქტორს სამ-სამი კაპეიკი თითო სტრიქონზეო. მომრიგებელ-მოსამართლეს სამართლიანად უცვნია რეპორტიორის თხოვნა და გადაუხდევინებია „Судебная Газета“-ს რედაქტორისათვის ფული რეპორტიორის სასარგებლოდ. რასაკვირველია, ამ გვარს გადაწყვეტილებას ძალიან გაუწიწმატებია რედაქტორი და ამიტომ ვრცელს წერილში ამტკიცებს თავის სიმართლეს. აი ამის გამო გაზ. „Русскія Вѣдомости“ რას ამბობს:

> რასაკვირველია, გაზეთმა უნდა დაჰბეჭდოს იმ გაზეთის სახელი, საიდგანაც იღებს წერილს; ხოლო ამ გვარი გადაბეჭდვა ზნეობრივსა და ან მატერიალურს ზიანს აძლევს თვით გაზეთს და არა მატიანის დამწერს. მაგრამ ამაზედ გვეტყვიან, რომ თუ გაზეთებმა თავიანთი წერილები გადაბეჭდეს სხვა გაზეთებიდამ, მაშინ რეპორტიორებსა და სტენოგრაფებს მუშაობა არ ექმნებათო. იქნება ეს მართალი იყოს, მაგრამ ხელ-მეორედ გასყიდვას ერთისა და იმავე წერილისას და ხელმეორედ სასყიდელის მოთხოვნას ანგაარი ხასიათი აქვს და სრულიად არ შეჰფერის ლიტერატურულ ნაწარმოებს, რაც უნდა დაბალის ხარისხისა იყოს ეს ნაწარმოები.

# უცხოეთი

საფრანგეთი. წარსულმა ომმა გერმანიასთან ძალიან დასცა საფრანგეთის მნიშვნელობა ევროპის პოლიტიკაში და ამ სახელმწიფოს მაგიერ პირველი ადგილი და ხელ-მძღვანელობა პოლიტიკაში დაიმკვიდრა გერმანიამ, რომელმაც მთელი ევროპა საომარს ფეხზე დააყენა, მეტადრე საფრანგეთი, რომელიც მას შემდეგ დაჩაგრულია გარეშე პოლიტიკაში. რასაკვირველია, საფრანგეთს არ შეუძლიან მოურიგდეს ამ გვარს მდგომარეობას როგორც საკუთარის გავლენის ინტერესებისათვის, აგრეთვე ეროვნულის თავ-მოყვარეობის გამო. იმ ომიანობის შემდეგ საფრანგეთი მოწადინებულია აღადგინოს ერის კეთილ-დღეობა და განაძლიეროს თვისი სამხედრო ძალ-ღონე, რათა ამ საშუალებით თავი არ დააჩაგვრინოს სხვა სახელმწიფოთა და მეტადრე თავის მოსისხლე მტერს—გერმანიას. საფრანგეთს კარგად ესმის, რომ გერმანია მტრულის

ჩაიდეთ ცაბაურთასა,
სადაც მთა-წმინდა არიო.
ჩაიდეს ცაბაურთასა,
მუჯს დაძრეს ხარუანიო; [1])
გოგოლაურთით მოეიდეს
ლომ-ხუზაურა ძმანიო;
ზოგნი მოეიდეს პირითა,
იმათ უჭირეს მხარიო;
შემოისროლეს ისრები,
ჩალად დაყარეს მკვდარიო...
გძელ ყანას მოეგებება
მამამთილს თავის რძალიო:
რა მიყავ, მამამთილაო,
თინიბექ, ჩემი ქმარიო?
—თინიბექ წყაროს გავსწირე,
სისხლის არაყით მთვრალიო;
ფეხთით დავუბი ლურჯაი, ✓
დასტირის როგორც ქალიო,
გვერდით დაურჭეს დროშაი,
ნამტვრევი შუბის ტარიო,
დაჰბერავს დილის ნიავი
და აჭრიალებს ქარიო;
თავით დაუსვეს ყორანი,
შენ გამოსთხარენ თვალნიო“.

—

რჯულიანსა და ურჯულოს
შუაზედ უსხენ მთანიო;
გადმაიარეს ლეკებმა,
გადმოავლიან თვალიო,
პანკისის ჭალას ჩაჰხედვენ:
რა ადვილ საშოვარია;
ჭალაზედ შემოფენილა
ფშაველის ძროხა და ცხვარია;
თან მაჰყვებიან მწყემსები,
ფშაველის ქალი და რძალია;
დაბნელდა ღამე ტიალი,
ქათმის ყიულის ხანია;

სამგან დასჭექეს თოფებმა,
სამგან აეარდა ალია...
დაეითავ გახუათაო,
ღმერთმა გაცხონოს მკვდარია,
თოფიმც გჭერიყო ხელშია,
ანა ხმალი და ფარია,
ანამც გყოლიყვნენ გვერდითა
ფშაველები შენი ძმანია.
თათარამ ცხვირაის შეილმა
მარტომ შაყარა ჯარია,
ლეკებს გაუდგა მდევრადა,
ღმერთო დასწერე ჯვარია!
ისახელებენ თავებსა, ✓
ყველა მამაცი არია...
საყორნეს მიეწევიან,
თან მისდევს სისხლის კვალიო,
თავს ადგა წმინდა გიორგი,
თავის ლაშარის ჯვარიო;
უწინაც ბუსურბნისადა
არ შაურჩენავ ვალიო;
ყველა ესროდა თოფებსა,
არც ვინ დაზოგა თავიო;
არც მისცეს ტყვედა ლეკებსა
თავის ქალი და რძალიო.
ამა ლექსის მოთქომი
ვარ რაიბულის ქალიო,
ხელში მიჭირავ ჩხირ-წინდა,
ცრემლით მევსება თვალიო!...

—

წოვეთში გიგის ციხეო,
ქვამც ნუ სდებულხარ ქვაზედა!
მოგიხდეს ჰარელთ შვილები,
ალი აგხვიეს თავზედა;
გამაგრდი გიგის ციხეო,
ჯაჭვი გადიცვი ტანზედა!...
გიგი ცოლს ეუბნებოდა:
—წამალი მიწყე წამზედა,
რომ შემოგვაკლდეს ტყვიაი,
ღალი აიჭერ ტანზედა;
თოფი მიარტყეს გიგისა
მარცხენა ძუძუს თავზედა;
გიგის სიათა წაიღეს
დაჰკიდეს ციხის თავზედა...
ხელიც მოაჭრეს გიგისა,
დააკრეს ციხის თავზედა.
გიგის სიათა ნუ მიგაქეთ ✕
ნუ აკრავთ ქვეის კარზედა,
ჭალაზედ ნუ ვინ წაიღებთ,
დაჩვეულია მთაზედა;
ნადირზედ ნურას ვინ დასცლით,
დაჩვეულია მტერზედა.
ემაგ ლექსაის მომთქომსა
ქალს ცრემლი მამდის თვალზედა;
გიგის ხელების ნაწვეთი
მაღლით ჩამომდის თავზედა...

—

შეიდთ ძმათა, მერვე ბიძასა
ვეფხვი მთით გამოგვეკიდა;
შეიდთავ ვესროლეთ შვიდ-შვიდი,
ვეფხვს ერთიც ვერ მოეკიდა;
მერვემ ესროლა ბიძამა,
ვეფხვი ბწკლით ჩამოეკიდა.
შვიდნივამც ქალად გვაქცივნა,
ცუდაიმც ქმარად აგვკიდა,
ეს ჩვენი თოფ-იარაღი
ჭალას მურყანზედ დაჰკიდა,
ხნამც ხუცესად გვაქცივა,
ყელზედ ოლრები ჩაგვკიდა!...

—

ოსმალში თათარს აქებენ
თარაქამაის შვილსაო,
ცხენსა უქებენ ასეთსა,
მუხლი აქვს შავარდნისაო.
ეტყოდა ამხანაგებსა:
ბაჟი ავილოთ ცხვრისაო...
დიდ შირაქს დაადგებიან
ოხერსა მიჯნის პირსაო;
ხევდთას შემოხვდებიან,
გუდამაყრელი შვილსაო;
ეუბნებიან იმასა:
„ფშაველო მოგვეც ჩიხტაო“,
—მე ჩიხტას ვერას გაჩუქებთ,
ფარა მაბარავ სხვისაო;
შემოეტივა თათარი,
იმედიც აქვის ცდისაო;
გაჯავრებული მემცხვარე
სახეში შაიკვრისაო;
თათარს დაადვა მაჭარი
მარცხენა ძუძუს ძირსაო;
გადაგორდება თათარი,
პირს სისხლი ამოსდისაო:

გეძებდით თათრიშვილებო,
ჯავრი მაქვს წინა წლისაო,
შარშან რომ თუშებ დახოცეთ,
იმათას ვიღებ სისხლსაო;
მიუდი საიქიოსა
იმათსამც წყალსა ზიდაო;
ხომ გაგისტუმრეთ, თათრებო,
არ გაგიფერეთ სხვისაო;
ბევრი სხვაც გამისტუმრებავ
ყაჩაღი თათრებისაო!

—

იყრება თათრის ლაშქარი,
ალაზანს გროვდებიანო;
არავინა ჰყავ ბელადი,
ბელადსა ლონდებიანო...
შენ წადი, ბათურიშვილო,
ლურჯას შენ გიქებდიანო,
წინ თუშნი, უკვენ ხევსურნი,
ფშაველნ წელ-წელა დიანო;
ჯავრობენ თუშიშვილები
ხევსურნი არ გვინდიანო.
— რას ამბობთ, თუშიშვილებო,
წასვლა ჩვენც ქვე გვწადიანო;
ფშაველნი, უკვენ ხევსურნი,
ბახტრიონს გადადანო;
დალიეს თათრის ლაშქარი,
თავებს უკვენა ჰყრიანო.
მეორე დილა გათენდა,
თუშებიც ჩამოდიანო,—
სად ეყარენით, თუშებო,
სადიაცენო-თმიანო!?

—

ხმალს ზეერავს გაფრინდაული,
თორმეტი მოეკალ ამითა;
დიდი ალვანის მინდორი
აავსე თათრის ძვალითა;
მგელსა დაეცვითე კბილები,
ტურას ლოყები ჭამითა...

—

ბიჭი ვარ გოგოლაური...
ნუ მშინჯავთ ტალავარზედა:
წინ-წინ მე გადავფრინდები
ბახტრიონს გალავანზედა;
თოფსა ვკრავ ჯიმშელთ ბატონსა,
ზედ მიეალ ფალავანზედა!..

—

სადარი გაფრინდაული?
ხევსურნ კარავსა ჰრიანო!..
ლეგ-ლუგა ფშაელიშვილები
გალავანს გადადიანო;
თუშთ ნაქერლები ცხენები
ალაზნის თავსა გროვდება;
ხანია შუაღამისა,
პანკისის ჭალა ხანდება;
თუშები თექიანები
გადიან ალაზანზედა;
ორშაბათს, თენების ხანსა,
ბახტრიონს ციხე შავდება;
კარზე გამოდი, სულთანო,
შენს სახლ-კარს ცეცხლი ედება!...

[1]) თუშის სახელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალით შეჰყურებს მის გაძლიერებას და უფრო ღონის-ძიებას იხმარს საფრანგეთი დასცეს და სრულიად დაამხოს. ამიტომაც როგორც საფრანგეთის ერი, აგრეთვე მისი მთავრობაც გულ-მოდგინედ სცდილობენ ჯეროვანად შეხვდნენ, თუ დროთა-ვითარებამ აიძულა, გერმანიასა და პირ-ნათლად გამოვიდნენ შეტაკებადამ. საფრანგეთისა და გერმანიის ამ გვარმა მოლოდინმა კიდევ უფრო განაძლიერა სიმძულვარე ორ დიდ სახელმწიფოთა შორის და საფიქრებელია, რომ იგი სიმძულვარე კიდევ ერთხელ აშლის ევროპის ისტორიულს მსვლელობას და შეიძლება სხვა გზით წაიყვანოს იგი.

საფრანგეთის მთავრობის სამხედრო მოღვაწეობამ ამ ბოლო წლებში ევროპის ყურადღება გამოიწვია და თანაც სხვებზე მომეტებულად გერმანია დააფიქრა. ყველას ახსოვს, თუ რა ზედმოქმედება იქონია ბულანჟეს სამხედრო მოღვაწეობამ, თუ რა აღტაცებაში მოიყვანა ამ უკანასკნელმა საფრანგეთის ერი და რამდენი უსიამოვნება და მწუხარება მიაყენა გერმანიას. საფრანგეთის საომარ ძალთა გამოსაცდელად ბულანჟეს უნდოდა მოეხდინა საცდელი მობილიზაცია ზოგიერთ ჯარებისა. ბულანჟე გადაყენებულ იქმნა და ვერ მოუსწრო თავისის აზრის განხორციელებას. მისმა მოადგილემ ფერრონმა შეაწუხარებინა პალატას მობილიზაციის პროექტი და ამ ნაირად ბულანჟეს აზრიც შესრულებულ იქმნება. პროექტის აზრით, სამობილიზაციოდ გამოწვეული იქმნება 20 ათასი კაცი და 10 ათასი ცხენი. მობილიზაცია შეატყობინებს საფრანგეთის მთავრობას თავისის ჯარების ღირსებას და ნაკლულევანებას. რასაკვირველია, ეს მობილიზაცია ყველასათვის საყურადღებოა, მეტადრე გერმანიისათვის, სადაც, უეჭველია, იგი გამოიწვევს ბევრს აყალმაყალს და ლაპარაკსა. გაზეთ «Петербургскія Вѣдомости»-ს სიტყვით, საფრანგეთისა და გერმანიის საქმე დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გზას დაადგება რუსეთიო. როგორც გაზეთი ამბობს, რუსეთის მთავრობა იმ აზრისაა, რომ ეს საქმე უფრო დიდის ყურადღების ღირსია, ვიდრე ბოლგარიისა და ამიტომაც რუსეთმა ბოლგარიის საქმით ხელები არ უნდა შეიკრასო.

საფრანგეთის საქმეთა მსვლელობას გერმანიის გარდა ინგლისიც ძალიან დაუფიქრებია. აი, რასა სწერს გაზეთი „Times"-ი: „თუ ვინიცობაა საფრანგეთში იფეთქა ხალხის გრძნობამ, ვერავითარი ზღუდე ვერ შეაკავებს ხალხის თავ-გასულობას. საფრანგეთის სახელმწიფო კაცები მოწადინებულნი არიან მშვიდობიანობა დაიცვან და დაამცირონ ბულანჟეს სახელი, მაგრამ ბულანჟეს იმოდენად გაუთქვამს სახელი, რომ თვით გამოცდილნი და შორს-მჭვრეტელნი პირნიც-კი განცვიფრა; საომარი გრძნობა იმოდენად გაძლიერებულია, რომ ხალხს საფრანგეთი სამხედრო მხრით ბევრად უფრო შემძლედ მიაჩნია, ვიდრე გერმანია. შეიძლება თუ არა ეხლა შეაკაონ ხალხის გრძნობა, აი უმთავრესი საკითხავი არა მარტო გერმანიისათვის, არამედ ყველა დაწინაურებულ ერთათვის. არ შეგვიძლიან ვიწინასწარ-მეტყველოთ, თუ რა შედეგი ექმნება საფრანგეთის მოძრაობას მეზობელთათვის. გერმანია მზად არის და თუმცა მას არა სურს საფრანგეთს შეეტაკოს, მაგრამ იგი ომზე უარს არ იტყვის, თუ გარემოებამ აიძულა საფრანგეთს შეემკლავოს. შეიძლება თუ არა იგივე ითქვას საფრანგეთის სხვა მეზობლების და, მაგალითად, ინგლისის შესახებ? ჩვენ არა გვგონია, რომ საფრანგეთის მმართველთ დაუწყონ ომა ინგლისს, მაგრამ ისიც უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ დროთა ვითარებამ მმართველობა ხელში ჩაუგდოს დემაგოგებს და სხვათა. ჩვენ ვიცით, რომ ფრანგთა უმეტესობას და მეტადრე დემოკრატებს სძულთ ინგლისი ისე, როგორც გერმანია. გარდა ამისა საფრანგეთში იმ აზრისანი არიან, ვითომ საომრად ინგლისში შესვლა ადვილია, ვითომ ინგლისის სამხედრო ძალ-ღონე ერთობ მცირე იყოსო".

როგორც ვთქვით, გერმანია მზად არის, და ინგლისი ურიგოდ არ მოიქცევა, თუ საფრანგეთს გაუფრთხილდა და საჭირო ზომა იხმარა.

## წვრილი ამბები

— ბერლინის გამოჩენილს პროფესორ-ექიმს მენდელს ამ დღეებში საექიმო საზოგადოების წინაშე მიუყვანია ერთი თავისი ავადმყოფი, რომელიც დიდის ყურადღებით გაუსინჯავთ ყველა კრებაზე დამსწრე ექიმებს. ეს ავადმყოფი შეძლებული ხელოსანია თურმე და უკვე დილის ცხრა საათზედ ყურთა-სმენასა ჰკარგავს და ენა ებმება. დილის ცხრა საათიდგან მეორე დღის დილის ექვს საათამდე რჩება ასე ყრუ-მუნჯად; დილის ექვსის საათიდგან დილისავე ცხრა საათამდე-კი ყურთა-სმენაც უბრუნდება და ენაც ადგმება ხოლმე ისე, როგორც ყველა ჯან-მრთელსა და არა-ავადმყოფს ადამიანს. ეს საკვირველი ავადმყოფობა დაჰმართვია შარშან ნაადგომევში იმის შემდეგ, რომ ამ ხელოსანს ბნედა სჭირებია. ავადმყოფი ყველაზედ პირველად საღამოს რვა საათზედ დაყრუვ-დამუნჯებულა, შემდეგ საღამოს ხუთს საათზედ, მერე სამ საათსა და ერთ საათზედაც, და ბოლოს 1886 წლის ივლისის თთვიდგან დილის ცხრა საათზედ დაყრუვ-დამუნჯდება თურმე და ეს ავადმყოფობა მეორე დღეს დილის ექვს საათზედ ესპობა. აგერ წელიწადზედ მეტია მას შემდეგ, ავადმყოფი სრულიად კარგად არის დილის 6-დგან 9 საათამდე და დანარჩენი 21 საათი-კი ისევ მუნჯ-ყრუდება. ექიმებს ვერაფერი მიზეზი ვერ გამოუნახავთ ამ ავადმყოფობისათვის.

— ბერლინის იუმორისტიული ჟურნალი „Ulk"-ი სიტყვა-მახვილობს, რომ პრინცის კობურგის მთავრად ამორჩევა ყველაზედ მეტად პაპა ლეონ XIII-ს ესიამოვნება, ჯერ ერთი იმიტომ, რომ პრინცი კათოლიკეა და მეორე კიდევ იმიტომ, რომ პრინცს ისე, როგორც პაპს, ფრინველები უყვარს ფრინველთა ცხოვრებას თვალ-ყურს ადევნებს, და ეს საქმე-კი მეტად არა-მავნებელი საქმეა დედა-მიწაზედ... კლერიკალების აზრითაო.

— ლონდონის ფოსტათა გამგეობას დედოფალ ვიქტორიის იუბილეის დღესასწაულის გამო 5 ივლისს გაუმართავს ისტორიული პროცესია. რიგზე დაწყობილან ყველა ეტლები, ფურგუნები, პოვოსკები და სხ., რომელნიც-კი ინგლისის ფოსტას 50 წლის განმავლობაში უხმარია. ამ პროცესიის გამართვას აზრად ის ჰქონია, რომ ეჩვენებინათ ინგლისის საზოგადოებისათვის, თუ რამდენად გაუკეთესდა და წინ წავიდა ფოსტათა საქმე ვიქტორიას დედოფლობის დროს განმავლობაშიო.

— ბუდაპეშტის „Tagblatt"-ი შემდეგს საინტერესო ცნობებს ჰბეჭდავს ერთს მოხუცს კაცზე, რომელიც ამ ჟამად 131 წლისაა და მაინც კიდევ ჯანსაღად არის და გონებითაც არ დასუსტებულა. ამ მოხუცს სახელად ჰქვიან ფრანც ნაგიი, 1756 წელს დაბადებულა და ამ ჟამად 131 წლისაა. ამ მოხუცის მშობლები საბატონო გლეხები ყოფილან. დედა ამ მოხუცის მშობიარობაზე გარდაცვლილა, და დედის სიკვდილის რამდენისამე ხნის შემდეგ მამაც გარდაცვლილა. ოც წლამდე ნაგიი მწყემსად ყოფილა, შემდეგ ჯარის-კაცად და 1813 წ. ლეიპციგის ბრძოლაში მონაწილეობა მიუღია, როგორც მკელს მეომარს. აქ ნაგიი ტყვედ ჩავარდნია ფრანგებს, დაბრუნებულა უნგრეთში 1815 წ. და მეჯინიბედ დამდგარა. ამ ჟამად ნაგიი თავის ხოფლელთა ნაწყალობებით სცხოვრობს. ნაგიის არ ახსოვს, რომ როდისმე ავად გამხდარიყოს. ნაგიის 1824 წლამდე თამბაქო უწევია და შემდეგ თავი დაუნებებია, რადგან ფული ტყუილ-უბრალოდ მეხარჯებაო. თავზედ მოხუცს ხშირი თმა აქვს და წვერ-ულვაშში-კი სიბერეში გაჩნდაც-უვითლებია. ქვემო კბილები-და შერჩენია რამდენიმე; მარცხენა თვალით ვეღარაფერსა ჰხედავს და ამ ბოლოს დროს მარჯვენა თვალიც ასტკივდება. მოხუცი ადვილად დადის და ლაპარაკის კილო მშვიდობიანი აქვს. ნაგიის არასოდეს არა ჰყოლია ცოლი და არც სურვილი ჰქონია ცოლის შერთვისა.

## დეპეშა

13 ივლისი

**ბერლინი.** აქ მიუღიათ კერძო ცნობა იმის შესახებ, ვითომც პრინცს კობურგისას განზრახვა აქვს ფორმალურად განაცხადოს უარი ბოლგარიის სამთავრო გვირგვინის მიღების შესახებო.

**დუბლინი.** განსაკუთრებითის კანონის მოქმედება მთლად გავრცელებული იქნება კიდევ 14-ს საგრაფოში და 12-ში-კი რაოდენადამე; აგრეთვე განსაკუთრებითის კანონის მოქმედებას ექვემდებარებიან ქალაქები: დუბლინი, კორკი, ლონდონი, დერი, ბერფასტი, და კიდევ ხუთი სხვა ქალაქი.

**ვენა.** როგორც „Politische Correspondenz"-ს შეუტყვია, კრიტის გაჭირებულს მდგომარეობას ბოლო მოეღო; ქრისტიანეთა დეპუტატები ხელ-ახლავ წარდგნენ საერო კრებაში და თან წარუდგინეს ოსმალეთის კომისარს მემორანდუმი, რომელშიაც სჩივიან, რომ ჩვენი თხოვნა მთლად შესრულებული არ არისო.

14 ივლისი

**პეტერბურგი.** დღეს ახალ საადმირალოში ხელმწიფე იმპერატორის თანადასწრებით წყალში ჩაუშვეს ჯავშნიანი ხომალდი „იმპერატორი ალექსანდრე II".

„Новое Время"ს გაუგონია, რომ იუსტიციის მინისტრი, დაბრუნდებარა აგვისტოს ნახევარში სამზღვარ-გარეთიდამ, წავა ზოგიერთის სასამართლოების სარევიზიოდ და მას შემდეგ მოვა კავკასიაშიც, რომ დაწვრილებით რევიზია გაუკეთოს კავკასიის სასამართლოებს.

**რომი.** პაპმა ეპისტოლეს გაუგზავნა სტატს სეკრეტარს რამპოლლს და ამბობს, რომ მე თავს ვიდებ პაპის უფლებას ხელ-ახლად შევურიგო ერი და მთავრობანი. მე ჩემს მოვალეობად ვრაცხ განვამტკიცო სარწმუნოება იქ, სადაც იგი დამყარებულია ვრცელს საფუძველზედა და ხელ-ახლად შემოვუერთო მას მისგან განცალკევებულნი ერნი აღმოსავლეთისა და საბერძნეთისანიო.

**ლონდონი.** ქვედა პალატაში საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა გამოაცხადა, რომ მორიგება ავღანისტანში მიჯნის გატარებისა გამო გათავებულია. საჭირო-ღაა მხოლოდ ეს მორიგება დაიწეროს და ორთავე მთავრობათა მიერ დამტკიცებულ-იქმნას.

### პეტერბურგის ბირჟა, 10-ს ივლისს
### ფასები:

| | [illegible] | [illegible] | [illegible] |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | — » | — » | 9 35 |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 181½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . . | — » | — » | 1 29 |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგები ბილეთი . . . . . . . | — » | — » | 260 |
| — მეორისა . . . . . | — » | — » | 250 |
| გირავნობ. ფურცელნი: ტფილისის ბანკისა. . . | — » | — » | 99 |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | — » | 99 |
| ტფილისის ს ურთიერთ ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | 83¾ | — » | — » |

### საკალენდარო ცნობანი

ქრისტეს აქედ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნა დები—14.

მკათათვე 31 დღით არის

**15 დღე** ოთხშაბათი. წმ. მოწ. კვირიკესი და იულიტასი. კათოლ. ჰენრიხისა და ანჟელინასი. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-7 რიცხვი თთვისა ზილ-ყაადესი, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—49, ჩადის 7—23. მთვარე 8 დღისაა.

### გამოსადეგი ცნობანი
**ნიხრი**

1 ივლისიდამ 1 აგვისტომდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | » |
| » 2 » | 2½ | » |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | » |
| » » 2— | 3½ | » |
| » » 3 » | 3 | » |
| ჯვარის მამის პურის ლავაში | 5 | » |
| 1-ლის ხარისხისა . . | 4 | » |
| მე-2 ხარისხისა . | » | » |
| მე-3 — . . | 7 | » |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 6 | » |
| » 2 » | 13 | » |
| სუკი. . . . | 8 | » |
| ცხვრის ხორცი . . . | » | » |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | » | » |
| » 2 » | » | » |

## კერძო განცხადებანი

ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლის ინსპექტორი აცხადებს, რომ 1887 წ. ენკენისთვისათვის პირველ განყოფილებაში ოც-და-თვრამეტი (38) ვაკანსია იქნება; მეორე, მესამე და მეოთხე განყოფილებებში ვაკანსიები სულ არ არის. აგრეთვე არ არის ვაკანსიები პროგიმნაზიის პირველსა და მეორე კლასებში. პროგიმნაზიის მესამე კლასში იქნება ოთხი ვაკანსია და მეოთხეში არა ნაკლებ ოცის ვაკანსიისა. პირველ განყოფილებაში შემსვლელთ ეგზამენი არ მოეთხოვებათ. თხოვნა უნდა შემოიტანონ ინსპექტორის სახელზე 17 აგვისტოდამ 24 აგვისტომდე და ამასთანავე უნდა წარმოადგინონ წლოვანობის და აზნაურობის მოწმობანი. თუ აზნაურობის მოწმობანი არ ექნებათ, ბანკის მოწმობა (კვიტანცია) მაინც უნდა იქონიონ, რომ ყმაწვილის მშობელი (დედა, ან მამა) ბანკის დამფუძნებელთა წევრთა შორის ითვლება.

სწავლა დაიწყება პირველს სექტემბერს.

სპირიდონ ჟორჟიკია
(6—1)

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეექსისა . . . . . . . | 3 | » |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | » | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | » |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | » |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . | » | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | » | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | » | 40 |
| მეჯღანუაშვილი, არდაზიანისა . | » | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | » | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | » | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | » | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | » | 30 |
| თხზულებანი, რაფაელ ერისთავისა. | 1 | » |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | » | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფაელ ერისთავისა. . . . . . . | » | 5 |
| იგავ-არაკი, რაფაელ ერისთავისა. | » | 25 |
| განკიცხული, მოხსუბარიძისა . | » | 50 |
| ციკო, მისივე. . . . , . | » | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | » | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | » | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | » | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | » | 10 |
| ვახტანგ მეექსე, მისივე. . . | » | 1 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | » | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | » | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | » | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | » | 15 |
| ზაფხული. ჯუღელის რედაქციით. | » | 2 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . . . | » | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჯუღელისა | » | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | » | 55 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . . | » | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | » | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭაჭინაძისა . . . . . . . . | » | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | » | 5 |
| ალი, ნ. ლომაურისა. . . . | » | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | » | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | » | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . . | » | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | » |
| თხზულებანი, მისივე ნაწ. I. . | » | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | » | 30 |

Доз. цен. Тиф. 14 іюля 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе" (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე